ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო დედის ძუძუ არ გაიცვლება სხვაზედა...

# თემი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

ზუგდიდის საზოგადოებრივ პოლიტიკური გაზეთი

1991
ხუთშაბათი
24
იანვარი
N 10 (10403)
ფასი 5 კაპ.

დრო და ჩვენი პოზიცია

## უნდა მოვინდომოთ, უნდა შევძლოთ

ახლანდელი დრო თავისი სირთულით და ძიების სუბიექტით წინამორბედ მონაკვეთებს შორის სცილდება. ჯერ ერთი, ვითარებას მთლიანად ცვლის ახალი პოლიტიკური რეჟიმი. მოხდა ისტორიული მნიშვნელობის გარდატეხა, რამაც ძირფესვიანად უნდა შეცვალოს როგორც პოლიტიკური, ისე სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურები. ბუნებრივია, ამდაგვარი ცვლილებები უმტკივნეულოდ ვერ ჩაივლის. ორი პოლიტიკური რეჟიმის გზასაყარზე თავს იჩენს ყველა სახის წინააღმდეგობა, მათ შორის ფსიქოლოგიური, კოლიზიები, ახალმა უზენაესმა საბჭომ გადაჭრით აიღო გეზი დღემდე მოქმედი პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურების დემონტაჟისკენ, რაც თანდათან უნდა განხორციელდეს. წარმოების მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ფორმებიდან ახალ, დემოკრატიულ სტილზე გადართვის პროცესს ადამიანთა თავისებური შეგუება-ადაპტაციის სიძნელეებიც ახლავს, ბუნებრივად გაჩენილ კითხვას: ვინ უნდა მოახდინოს კარდინალური გარდატეხა ჩვენს საზოგადოებრივ სისტემაში? უპრიანია შემდეგი პასუხი გავცეთ: ყოველმა ჩვენგანმა, ვინც შინაგანად გრძნობს გარდაქმნის მოთხოვნილებას. ვინც მოწადინებულია მთელი არსებით გაითავისოს ის ფაქტი, რომ ძველებურად ცხოვრება აღარ შეიძლება. ყოველი ზუგდიდელი უნდა განეწყოს ახლებურად აზროვნებისათვის.

და ეს თანდათან უნდა გამოვლინდეს ყოველდღიურ ქმედებაში, მოყვასისადმი დამოკიდებულებაში, საკუთარი პიროვნების სრულყოფის ცდაში და ა. შ. ერთი სიტყვით, თავიდან უნდა მოვიშოროთ ცხოვრების ძველი წესი, რომელიც ათასგვარი კომპლექსით დაამძიმა ათეული წლობით გამეფებულმა ავტორიტარულმა სისტემამ, მითოლოგიური ქიმერებისთვის გამოდევნებამ. მოქალაქეთა შინაგანი სამყარო უნდა გამოთავისუფლდეს რაღაც ირეალური, გამოგონილი იდეოლოგიური დოგმებისაგან და გადაერთოს ზოგადადამიანურ ცნებებზე და ღირებულებებზე. განა ამერიკის აღმოჩენად უნდა იქნას ვინმესგან აღქმული ის უბრალო, მამაპაპური ჭეშმარიტება, რომ: ადამიანი უნდა იყოს სიყვარულის მთესველი, დაქირავებულის მხარში ამომდგომი თავისი თავისა, თუ ოჯახის საკუთარი შრომით დამპურებელი და ა. შ. მთელი ათწლეულების განმავლობაში ჩვენი უბედურება სწორედ ის გახლდათ, რომ ელემენტარული ჰუმანური პრინციპები გამოგონილი კლასობრივი ინტერესებით, სხვადასხვა პოლიტიკური დოგმებით დავთრგუნეთ. ელემენტარულ, ყოფით, თუ წარმოებით-ეკონომიკურ ურთიერთობებში დავაკანონეთ სოციალისტური იდეოლოგიის პრიმატი. და აი, დადგა განახლების, ფერიცვალების ჟამი. დრო, რომლის დინებას ყოველმა ჩვენგანმა უნდა აუწყოს ფეხი.

იმედის მომცემი ნაბიჯები გადადგა საქართველოს უზენაესმა საბჭომ. მიღებულია არაერთი მეტად საჭირო კანონი. სულ მალე მუშაობას დაიწყებს კანონები მოქალაქეობის სტატუსის, მიწის შესახებ და ა. შ. ეს დოკუმენტები შექმნიან იმის სამართლებრივ გარანტიებს, რომ თავისუფლად ამოისუნთქოს მუშამ და გლეხმა, ინტელიგენტმა. თავიდან მოვიშოროთ ის ბორკილები, რაც ჩვენს წინსვლაში ხელს გვიშლიდა. ახალი ნორმატიული აქტები საშუალებას მოგვცემს მწვანე გზა მივცეთ შერეულ ეკონომიკას, თავისუფალ მეწარმეობას, ფართოდ გავშალოთ ქველმოქმედება, სხვადასხვა თაოსნობები.

ახალი ცხოვრების წესში სულ სხვა შინაარსს იძენს თვით ტერმინი — დისციპლინა. რა თქმა უნდა, ამის გარეშე ნაყოფიერად ვერ ფუნქციონირებს ვერც ერთი საწარმოო ერთეული. მაგრამ უკვე ანაქრონიზმად აღიქმება ზემოდან ბრძანებით, მუქარით თავს მოხვეული დისციპლინა, ადმინისტრირების ბერკეტებით და ნერვიული შიში. წესრიგი უნდა მოდიოდეს თვითდისციპლინიდან, შეგნებითი საწყისიდან. დისციპლინის საჭიროება უნდა იქცეს ორგანულ კომპონენტად საწარმოს ყოველდღიური ცხოვრებისა. რა თქმა უნდა, ეს არ გამორიცხავს მშრომელებზე ზემოქმედების სხვადასხვა მექანიზმების გამოყენებას. პირიქით, რამდენად უფრო დაკვირვებით და ფაქიზად მოვიმარჯვებთ სხვადასხვა სახის სანქციებს, მით უფრო შედეგის მომცემი იქნება დისციპლინირებული ადამიანისათვის ბრძოლა. ისეთი პიროვნების ფორმირება, რომელიც ასე ჭირდება განახლების გზაზე დამდგარ საქართველოს.

საქმე იქითკენ უნდა წარვმართოთ, რომ წარმოების ნებისმიერი საკითხი თვით შრომითმა კოლექტივმა მართოს. ადგილობრივი მართველობის საწყისებზე აქცენტირებით უდაოდ მივაღწევთ დემოკრატიის პრინციპებისა და ნორმების დამკვიდრებას. ცივილიზებული ქვეყნების დარად მაქსიმალური ყურადღება უნდა დაეთმოს კოლექტივებში მორალური კლიმატის, ჯანსაღი განწყობილების ფაქტორის გააქტიურებას.

დრომ მოაქვს სიახლეები, ქართველი ხალხის წინაშე ისტორიამ დააყენა მეტად საპასუხისმგებლო ამოცანა: ენერგიულად აუბას მხარი საზოგადოებრივ პროგრესს, ცხოვრების განახლების მოთხოვნებს.

თუ ერთად ვიქნებით, თუ სამშობლოს ბედს მთელი არსებით გავითავისებთ, უდაოდ შევძლებთ ამას.

ვიხილავთ კანონ-პროექტს

## ლიტონ სიტყვად რომ არ დარჩეს

გამოვიდა განსახილველად საქართველოს რესპუბლიკის კანონპროექტი „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა შესახებ“.

კანონ-პროექტში ძირითადად ასახულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა საქმიანობისა და გავრცელების პრობლემები, ჟურნალისტისა და გამომცემლის უფლებები, მათი პასუხისმგებლობის საკითხები და სხვა, მაგრამ განსახილველი პროექტი რამდენადმე ზოგადი სახის გვეჩვენება. კარგად გვესმის, რომ ასეთ კანონებში ყოველი კონკრეტული მაგალითის გათვალისწინება ძნელია, მაგრამ შესაძლებლობისდაგვარად უნდა იყოს ასახული როგორც ჟურნალისტისა და გამომცემლის, ასევე გარეშე ავტორის უფლებები, რაც თითქმის არ არის. აქედან გამომდინარე, იმ ქვეთავს, რომელსაც ჰქვია „ინფორმაციის საშუალებათა და ჟურნალისტთა უფლება-მოვალეობანი“, უნდა დაემატოს ტექსტი, რომელშიც ასახული იქნება გარეშე ავტორის უფლებები, ავტორის წერილზე ჟურნალისტის (რედაქტორის) მინაწერის გაკეთების უფლების შემთხვევები და სხვა.

კარგი იქნება, თუ კანონის შემდგენლები გაითვალისწინებენ სახელმწიფო და კერძო პრესის თავისუფლების ნიუანსებს და იმ ქვეყანაში, სადაც ჯერაც პრესა არ არის კერძო პირთა ხელში, სახელმწიფო პრესას სრულ თავისუფლებას მიანიჭებენ ოპოზიციური წერილების ბეჭდვის მხრივ, რადგან, სხვაგვარად ცნება „პრესის თავისუფლება“ მხოლოდ ლიტონი სიტყვა იქნება და სხვა არაფერი.

ნ. ტაბაღუა,

## ეს ეროვნული საქმეა

ზუგდიდის რაიონის მედიცინის მუშაკები მოწონებით შეხვდნენ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმებას. რესპუბლიკის პარლამენტი ამ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილებით წინ აღუდგა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის ცდას. სამედიცინო კოლექტივი აღაშფოთა საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულებამ, როგორც საქართველოს საქმეებში უხეშმა ჩარევამ, რესპუბლიკის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის ინტერესების უგულებელყოფამ. რაიონის საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების კოლექტივმა რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის საგანგებო სხდომის გადაწყვეტილებისადმი ერთსულოვანი მხარდაჭერა და პრეზიდენტის 7 იანვრის ბრძანებულებისადმი მკვეთრი პროტესტი ნათლად გამოხატა დეპეშაში, რომელიც გაეგზავნა საბჭოთა კავშირის პრეზიდენტს.

ამ მძიმე განსაცდელის ჟამს მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი მხარში ამოუდგეთ ადამიანებს, რომლებიც საქართველოს ინტერესებს იცავენ სამაჩაბლოში. საავადმყოფოს ექიმები მზად ვართ პირველი დაძახებისთანავე გავემგზავროთ სამაჩაბლოში იმათთვის სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად, ვისაც ეს დასჭირდება. მედმუშაკების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით ამჟამად შეძენილი და გაგზავნილ იქნა 1000 მანეთის სურსათი. რაისაავადმყოფოში შექმნილია მედიკამენტების, შესახვევი მასალის, მედიარაღების რეზერვი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიეწოდება სამაჩაბლოს. ამასთან ვთხოვთ რაიონის მოსახლეობას აქტიური მონაწილეობა მიიღოს და დაგვეხმაროს რეგიონისთვის უგასამრჯელო დონორებისაგან სისხლის აღება-დამზადების საქმეში.

დარწმუნებული ვართ სიკეთე იზეიმებს ბოროტებაზე. ამ რწმენას გვიქმნის და გვიმტკიცებს ქართველი ხალხის ერთიანობა.

ჯ. აგშილავა,
ზუგდიდის რაიონის საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების მთავარი ექიმი.

## ა. წერეთლის საიუბილეო კრებული

აკაკი წერეთლის დაბადების 150 წლისთავის აღსანიშნავად სირიაში გამოვიდა საიუბილეო კრებული, მასში შევიდა პოემა „გამზრდელი“ და რჩეული ლირიკა, რომლის თარგმანიც ეკუთვნით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს გურამ ჩიქოვანსა და სირიელ მწერალს ნიზარა ხალილს. კრებულის გამოცემა განახორციელა ნიკოლოზ სალარაძემ, სირიის საქმიანი წრეების ცნობილი წარმომადგენლის, ამჟამად გარდაცვლილი ჩვენი თანამემამულის ლევან სალარაძის ვაჟმა.

(საქინფორმი)

ქართული ჟურნალისტიკის ისტორიიდან

# იგი მოხიბლა სამეგრელომ

საინტერესო, ერთობ რთული და მრავალფეროვანი გზა განვლო ქართულმა ჟურნალისტიკამ. მან განუზომელი როლი შეასრულა ქართველი ხალხის ეროვნული კულტურის განვითარებაში. ქართულმა პრესამ მუდამ მნიშვნელოვანი როლი ასრულა საზოგადოებრივი აზრის განვითარებაში. როცა ეცნობი ქართული ჟურნალისტიკის ისტორიას, თვალში გეცემა არაერთი საინტერესო, მნიშვნელოვანი ფაქტი, თუ ეპიზოდი, რომელიც იმ დროის სუნთქვით, დამახასიათებელი ნიშნით არის აღბეჭდილი.

ჩვენ ახალი წლიდან გამკვიდრებულ რუბრიკას: „ქართული ჟურნალისტიკის ისტორიიდან". ვფიქრობთ, მის ცალკეულ ფრაგმენტებს ინტერესით გაეცნობიან მკითხველები.

დღევანდელ ნომერში გთავაზობთ მცირე ნაწყვეტს წიგნიდან: „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია". მასში გადმოცემულია მე-19 საუკუნის ქართული პრესის ცნობილი წარმომადგენლის, პოპულარული ჟურნალ „ცისკრის" რედაქტორის ივანე კერესელიძის ცხოვრების ერთი მცირე ფრაგმენტი, დაკავშირებული სამეგრელოს სამთავროსთან.

* * *

„...1850 წელს ივ. კერესელიძემ წარმატებით დაამთავრა გიმნაზია. გიმნაზიის უკანასკნელ კლასში ის გააფრთხილეს — აზნაურობის მოწმობა წარედგინა, წინააღმდეგ შემთხვევაში ატესტატს ვერ მიიღებდა. უატესტატოდ რომ არ დარჩენილიყო, დაიწყო აზნაურობის ძიება (მისი მამისთვის ერთ დროს სამეგრელოს მთავარს თითქოს აზნაურობა ებოძებინა), მაგრამ ამ საქმის დევნამ, რომელიც ათასგვარ დამცირებასთან იყო დაკავშირებული, ათეული წლობით გასტანა და მაინც ამაოდ ჩაიარა.

როგორც წარჩინებით კურსდამთავრებული, ივ. კერესელიძე მაინც დატოვეს გიმნაზიაში ზედამხედველისა და ქართული ენის მასწავლებლის თანამდებობაზე, მაგრამ რადგან აზნაურობის საბუთის წარდგენა ვერ მოახერხა, გიმნაზიიდან დაითხოვეს და შემდეგ თბილისის საგუბერნიო სამართველოს რომელიღაც კანცელარიაში მოეწყო მოხელედ. მალე იქაც მოუთხოვიათ გიმნაზიის ატესტატი და აზნაურობის მოწმობა, რომელიღაც დაბალ ჩინზე წარსადგენად, მაგრამ რადგანაც ეს საბუთები არ გააჩნდა, აღარც ხარისხზე წარუდგენიათ და, ცხადია, სამსახურსაც უნდა გამოთხოვებოდა.

სწორედ ამ დროს ივ. კერესელიძე დავით დადიანმა მიიწვია შვილების აღმზრდელ მასწავლებლად. ეს, შეიძლება ითქვას, ერთადერთი გამოსავალი იყო მისთვის და, ამიტომ სიხარულით, დათანხმდა, მიუხედავად იმისა, რომ საყვარელ საქმეს, ქართულ თეატრსა და მშობლიური კულტურის აღორძინებით გულანთებულ მეგობართა წრეს უნდა გამოთხოვებოდა.

რუს და ქართველ მოღვაწეებთან ერთად, დადიანის სასახლეში უცხოელი სტუმრებიც ხშირად ჩამოდიოდნენ. მთავრის მეუღლე ეკატერინე ჭავჭავაძე ლიტერატურის დიდი მოტრფიალე იყო. მას მხარს უმშვენებდა უფროსი და ნინო — ალ. გრიბოედოვის ქვრივი, რომელიც მთელი თვეობით რჩებოდა აქ.

ზუგდიდში ივ. კერესელიძე გატაცებით დაეწაფა დადიანების მდიდარი ბიბლიოთეკის წიგნებსა და ხელნაწერებს. ახალგაზრდა პოეტი ახლოს გაეცნო რუსულ-ქართული კულტურის ძვირფას მემკვიდრეობას. ეკატერინე ჭავჭავაძის მეშვეობით ივ. კერესელიძემ პირველად წაიკითხა ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ალ. ჭავჭავაძის ბევრი ლექსი. ხოლო მალე იგი თვითონ გახდა ქართული ლიტერატურის ამ ბრწყინვალე წარმომადგენელთა ნაწერების გულმხურვალე პროპაგანდისტი. მისმა „ცისკარმა" მშობელ ხალხს დაუბრუნა ბარათაშვილის უკვდავი პოეზია.

სამეგრელოში ყოფნის დროს ივ. კერესელიძემ უფრო მკაფიოდ იგრძნო ბატონყმობის უღელქვეშ მყმინავი გლეხობის მდგომარეობა.

თუმცა დადიანები [illegible] ვერ ელეოდნენ ბეჯით, კეთილსინდისიერ ახალგაზრდა მასწავლებელს, მაგრამ ივანე უკვე თბილისისაკენ მიილტვოდა, სადაც ქართული კულტურის ცენტრში, მას გადაუდებელი საქმეები, ჩქეფარე კულტურული მოღვაწეობა ელოდა.

დადიანებმა უხვად დაასაჩუქრეს ივ. კერესელიძე და მან გადაწყვიტა, ეს ფული საზოგადო საქმისათვის მოეხმარა. თბილისში დაბრუნებისთანავე, იგი აქტიურად ჩაება აქაურ კულტურულ ცხოვრებაში.

# დიქტატურის დრო წავიდა...

**რიჩარდ პაიპსი ცნობილი სოვეტოლოგია. ამასწინათ მან ინტერვიუ მისცა ჟურნალისტ ალექსანდრე მახოვს. გთავაზობთ ამ მასალის ოდნავ შემოკლებულ ვარიანტს. მკითხველებს მივანიშნებთ, რომ ეს პუბლიკაცია ლიტვის მოვლენებზე ადრეა შექმნილი.**

ჟურნალისტი: ჩვენ გადავალთ დიქტატურაზე?

—პაიპსი: ვფიქრობ, კი. ასე მეჩვენება: ის, რასაც არმიის წარმომადგენლები და თვით პრეზიდენტი გორბაჩოვი ახლა ამბობენ, განსაკუთრებით ეროვნულ საკითხებთან დაკავშირებით, იმაზე მიგვანიშნებს, რომ დიქტატურა კარზე აკაკუნებს. თქვენთან შესაძლოა არ დამყარდეს ტოტალიტარული დიქტატურა, არამედ მისი შედარებით რბილი ფორმა, რომელიც დაუშვებს გარკვეულწილად კერძო საკუთრებას, პირად ინიციატივას, საქმიანობას. მაგრამ პოლიტიკური ძალაუფლება ერთ ხელშია.

—ჟურნალისტი: ახლა დასავლეთი მეგობრულ პოზიციაზე დგას. როგორ ფიქრობთ, დიქტატურის შემთხვევაში იგი განუდგება ჩვენს ქვეყანას?

—პაიპსი: ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, დაიღვრება თუ არა სისხლი. საკმარისია კიდევ ერთი თბილისი, რომ დასავლეთის ქვეყნებმა ზურგი შეაქციონ კავშირს. მაგრამ თუ კი დიქტატურის რბილ ფორმას შემოიღებენ, შესაძლოა, მძაფრი ნეგატიური რეაქცია მოიხსნას. ყველაფერი „სცენარზეა" დამოკიდებული.

—ჟურნალისტი: ვის ხედავთ დიქტატორის როლში?

—პაიპსი: ამჟამად მხოლოდ გორბაჩოვს.

—ჟურნალისტი: გორბაჩოვს თავის დროზე დიქტატორის როლი გადასცეს მემკვიდრეობით, გენერალური მდივნის პოსტთან ერთად. მაგრამ მან, მიიღო რა პოსტი, თვით თქვა უარი დიქტატორის როლზე.

—პაიპსი: გეთანხმებით. მას დიქტატორული ჩვევები არ ახასიათებს. მიუხედავად ამისა, იგი მაინც იქცევა გარდამავალი ეპოქის დიქტატორად. მას შეცვლიან სხვები.

—ჟურნალისტი: ახალი ბოლშევიკები?

—პაიპსი: ვინ იცის, იქნებ იგი იყოს ერთ-ერთი გენერალი.

—ჟურნალისტი: თქვენ არ ფიქრობთ, რომ მოსვლისთანავე ეს გენერალი კი არ ილაშქრებს კერძო საკუთრების პრინციპს, არამედ დაუბრუნდება ძველებურ მეთოდებს?

—პაიპსი: პლურალიზმი, რა თქმა უნდა, გამოირიცხება. რაც შეეხება ეკონომიკას, ის უცილოდ ასე იტყვის: „ყველანი ვხედავთ, სოციალიზმი არ მუშაობს". ამიტომ ჩვენ გვჭირდება კერძო საკუთრება. ისე, მე ვფიქრობ, მომავალ დიქტატორს უფრო გაუჭირდება. განსაკუთრებით სუვერენიტეტისათვის მებრძოლი რესპუბლიკების დაწყნარება.

—ჟურნალისტი: იქნებ ეს იმის ნაწინდარია, რომ დიქტატურა არ შედგეს?

—პაიპსი: ჩემი ვარაუდით, დიქტატურის შემოღებას გასინჯავენ, მაგრამ უმალ დარწმუნდებიან რომ დემოკრატიის გარეშე არაფერი გამოვა. დიქტატურის დრო წავიდა.

„მოსკოვსკიე ნოვოსტი"
№ 1, 1991 წ.

მოსწავლის ხმა

# საშობაო საჩუქარი, თუ...

მოველოდით ხსნას, კონსოლიდაციას, მაგრამ... სწორედ ამ შინაგანმა უთანხმოებამ დაგვამცრო ქართველები, ოდითგანვე ეს იყო ჩვენი არეულობის ერთ-ერთი მიზეზთაგანი.

დღეს კი შინაურ აშლილობას იმპერიული ძალების უწმინდური ხელების ფათურიც დაერთო ჩვენს სულში... ზევიდან გვითითებენ, თითს გვიქნევენ, ბრძანებულებას გვიგზავნიან. ბოლოს და ბოლოს ეს ხომ სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევაა, მისი დამოუკიდებლობის ხელყოფაა.

ქართველმა ხალხმა აირჩია სწორი გზა, როცა მან ხმა მისცა პოლიტიკურ ბლოკს „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო". ეს ის გზაა, რომელსაც ტაძრისკენ მივყავართ. ჩვენც არ უნდა გადავუხვიოთ და ბოლომდე მივყვეთ ჩვენს მიერ არჩეულ პარლამენტს. მჯერა, ეს ასეც იქნება. მაშ, რაშია საქმე, თუ კი საქართველო ერთი სხეულია, რომელსაც ერთი მიზანი ამოძრავებს?!

ოსი ექსტრემისტები საქმეს არ თულებენ და შედეგიც სახეზეა. დაიღვარა ადამიანის სისხლი. არა აქვს მნიშვნელობა ვისი სისხლი, — ქართველის, ოსის თუ რუსის...

უკეთეს საშობაო საჩუქარს ვერ მოიგონებს ადამიანი. ცენტრის ამბიციები ყველასათვის ცნობილია, არავინ იცის, რა მოხდება ხვალ...

ახლა მძიმე სიტუაციაში ყოველი ქართველი სანთლით ხელში ილოცებს: „ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე"! და ამოუდგება მხარში ჩვენს ეროვნულ მთავრობას სიტყვით და საქმით.

ხ. შედანია,
ოდიშის № 2 საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე.

წიგნის თაროს შეემატა

# ოპოზიციური ლიტერატურა „ამირანი"

პირველი ქართველი ოპოზიციონერი კავკასიონზე მიჯაჭვული გმირი — ამირანია — ნათქვამია წიგნის წინასიტყვაობაში, რომლის ავტორია ნოდარ წულეისკირი.

წიგნში მოთხრობილია ამირანის შთამომავალთა — თავისუფლებისათვის მებრძოლ ქართველ გმირთა ტანჯვა-ვაების აღსავსე თავგადასავლები. ავტორები არიან საქართველოს 1921 წლის დაპყრობის წინააღმდეგ მიმართული პირველი უკუმთქმელები (ოპოზიციონერები): კოტე მაყაშვილი, ლეგენდარული მარო მაყაშვილი, იოსებ გრიშაშვილი, ალექსანდრე აბაშელი, კონსტანტინე გამსახურდია, კოლაუ ნადირაძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, სამსონ ფირცხალავა, შალვა ამირეჯიბი, ალექსანდრე ქურასბედიანი და სხვები. აგრეთვე გავეცნობით ახალი ოპოზიციონერების — აკაკი ბაქრაძის, მერაბ კოსტავას, ზვიად გამსახურდიას, ნოდარ ნათაძის, გიორგი ჭანტურიას, თინათინ მღვდლიაშვილის და სხვათა ლექსებს, მოთხრობებს, წერილებს.

შეუძლებელია, ემოციების გარეშე წაიკითხო ქვეთავი „პოლიტპატიმართა მატიანე", სადაც ყოფილი პოლიტპატიმარი, კრიტიკოსი ალექსანდრე სიგუა მოგვითხრობს თავის ენით აუწერელ წამებას სუკის ციხეებსა და საპყრობილეებში, სხვა დევნილთა მწარე ხვედრს.

წიგნში დაბეჭდილია აგრეთვე მარინა ცვეტაევას თეთრგვარდიული ლექსები. ქვეთავში „ფაქტები და საბუთები" მოყვანილია ვახტანგ გურგენიძის „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა" (საარქივო დოკუმენტების მიმოხილვა). აგრეთვე ლევან ბოძაშვილის „მოგონება ილიას მკვლელობაზე".

წიგნი ნათლად ასახავს ქართველთა შეურიგებელ ბრძოლას დამპყრობლის წინააღმდეგ, იმას, რომ ჩვენი ერი არასდროს შეგუებია მონობას, სწორედ ამიტომაც ცდილობდნენ ჩვენს ფიზიკურ განადგურებას, რადგან ვერ დაიმორჩილეს თავისუფლების მოყვარე სული.

„ამირანი" იმითაც არის საინტერესო, რომ აქ მკითხველი პირველად გაეცნობა ხსენებულ ავტორთა აქამდე ტაბუდადებულ შემოქმედებას.

წიგნი დიდი შენაძენია როგორც პროგრესულად მოაზროვნე, ოპოზიციური ლიტერატურით დაინტერესებულ, ასევე ფართო მკითხველისათვის.

# საბაზრო ეკონომიკაზე

რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიაში შემუშავებულია საქართველოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კონცეფცია. მისი ავტორია ეკონომიკის ინსტიტუტთან ამ მიზნით შექმნილი დროებითი შემოქმედებითი კოლექტივი. 25 მეცნიერების დოქტორმა და კანდიდატმა, შესაბამისი პროფილის სპეციალისტმა შემოგვთავაზეს მოქმედებათა მწყობრი პროგრამა საქართველოში არსებული ეკონომიკური სისტემის რაც შეიძლება უმტკივნეულოდ გარდაქმნისათვის ჩვენთვის ახალ თავისუფალ მეწარმეობად. კონცეფციის ავტორთა აზრით, იგი შეიძლება იქცეს თავისებურ საფუძვლად რესპუბლიკის სრული პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტის აღსადგენად. კონცეფცია ითვალისწინებს საქართველოში, როგორც თავისუფალ სუვერენულ ქვეყანაში, შეიქმნას ბაზარი.

საქინფორმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

26 იანვარი — დავით აღმაშენებლის ხსენების დღე

# მეფის მადლი

„ჩვენთვის, ადამიანებისათვის, საჭიროა,— გვმოძღვრავს ბრძენი სენეკა, —იმისთანა კაცი, რომ მის მიხედვით შევძლოთ საკუთარი ხასიათის გაწვრთნა და განმტკიცება. ოჰ, რა ბედნიერია იგი, ვინც არამც თუ ჩვენთან ყოფნით გვწვრთნის ჩვენ, არამედ თავისი სახელის ხსენებითაც".

ქართველებისათვის ამისთანა ბედნიერი დავით აღმაშენებელია. მისი მიცვალების დღე 26 იანვარია. ხოლო საქართველოს ეკლესია, რომელიც ყოველთვის მფარველობდა ჩვენს ერს და მის დიდებას დავიწყებას არ აძლევდა არასოდეს, 26 იანვარს აქებს და ადიდებს სახელოვან დავით მეფეს, რომელსაც ერის უტყუარმა განაჩენმა ეკლესიის კურთხევითა და ლოცვით საუკუნო ხსენებისათვის აღმაშენებლის სახელი უწოდა. ეს ის მეფე გახლავთ, რომელმაც ერთად მოუყარა თავი ქართველობას, რომელმაც აოხრებული ქვეყანა ააშენა, მტერი დააფრთხო და გაფანტა.

სომეხი მათე ედესელი ამბობდა: „დავითი იყო წმინდა, კეთილმსახური, სავსე ქველმოქმედებით და მართმსაჯულებით, მის გარშემო იკრიბებოდნენ სომეხთა ნათესავები, რომელთათვის მან დააფუძნა საქართველოში ქალაქი კორი (გორი). მიაგო ჩვენს ნათესავს ყოველგვარი შვება და ნუგეშისცემა".

ხოლო ვარდენ დიდი კი წერდა: „დავით არავითარი სიძულვილი არ ჰქონია სომხური წირვა-ლოცვისა და ეკლესიისადმი. ის კი არა მარტო, იგი ხშირად იდრეკდა თავს ჩვენს ხელქვეშ და ითხოვდა ჩვენს ლოცვა-კურთხევას.

რა გასაკვირია, რომ დავით აღმაშენებელი ისე გულმოწყალედ ეპყრობოდა სომხებს, რომლებთანაც ჩვენ ერთმორწმუნეობა გვაკავშირებს, დიდბუნებოვანი კაცთმოყვარეობა დავით მეფისა მაჰმადიანებსაც მიედოთ. თუმცა, რა დასამალია ის ისტორიული ფაქტიც, რომ მაჰმადიანები ცეცხლითა და მახვილით ებრძოდნენ დავით აღმაშენებელს და ქართულ მართლმადიდებლურ სარწმუნოებას.

ყოველივე ამისდა მიუხედავად მაჰმადიანელთა მწერალმა ალიაიზმა აღნიშნა: „მუსულმანებმა თხოვნით მიმართეს დავითს, რომ დაერთო მას ნებართვა ქრისტიანებისთვის მუსულმანებთან ერთად აბანოში შესვლისა, და შეეწყვიტათ გიაურებს მაჰმადიანელთა ავად ხსენება. დავით მეფემ ეს თხოვნა შეასრულა, ხოლო თვითონ დავითი თავის შვილთან, დიმიტრისთან ერთად ყოველდღე დადიოდა უმთავრეს მეჩეთში, ისმენდა სამეფო ლოცვას და თვით ყურანის კითხვასაც კი. იგი უხვად აძლევდა ფულს ქათიბს, მუამინებს, ხოლო პოეტებს უნიშნავდა ულუფას. მანვე ააშენა უცხოტომისათვის ქარვასლები. თუ ვინმე მოისურვებდა ტფილისის დატოვებას, გულსავსებით უწყობდა ხელს და სამგზავრო ღონისძიებას აძლევდა უფლად. დავითი უფრო დიდ პატივს სცემდა მუსულმანებს, ვიდრე მთავარნი მუსულმანთანი".

კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდეს— აქ დასარჩენი, მეორე თანწასაყოლიო, ამბობს ძველი ქართული სიბრძნე. მართლაც ეს ბრძნული ქართული ანდერძი ისე არავის შეუსრულებია, როგორც დავით აღმაშენებელს,— ძველ საქართველოს უველაზე გამოჩენილ მეფეს და პოლიტიკურ მოღვაწეს (მეფობის წლები —1189-1225), აქ აღმაშენებლის სახელი დარჩა, როგორც მეფეს, და იქ, როგორც დიდბუნებოვანმა კაცმა წაიყოლია მართლაც დიდების გვირგვინით შემკობილი სახელი წმინდანისა.

თამაზ როგავა.

მრავალტირაჟიანი გაზეთების ფურცლებზე

# „ინგირი"

სოფელ ინგირის საზოგადოებრივი ცხოვრების მატიანე—გაზეთი „ინგირი" (რედაქტორი ჯ. ფილფანი), რომელიც გამოდის 1957 წლიდან, სოფლის მშრომელთა საინტერესო საკითხავი გაზეთია. აქ შევხვდებით სოფლის მეურნეობის დარგის სპეციალისტების რჩევებს, მოწინავეთა პორტრეტებს, საზოგადოებრივი ცხოვრების დღევანდელი ყოფის ამსახველ პუბლიკაციებს, სტატიებს, წერილებს.

„ინგირის" ამასწინათ გამოშვებულ ნომერში (იგი თვეში ორჯერ გამოდის), ვრცელი ადგილი ეთმობა სიახლეებს, რაც თან სდევს ყოველდღიურობას.

წერილში „სოფლის არენდატორები" გკითხულობთ: საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებაში თავიანთი წვლილი შეაქვთ ინგირელ საკვებმომპოვებლებს, მხვნელ-მთესველებს თუ მექანიზატორებს. მათ დროულად მოიმარაგეს 440 ტონა სილოსი, 100 ტონა თივა, საკმაო რაოდენობით ჩალა, 9 ჰექტარზე მოყვანილი ტურნეფსი მწვანე საკვებად ეძლევა პირუტყვს.

არენდატორები ლეილა ჭიჭელავა, კოტე გახარია და გივი ხუხულავა უვლიან 50 ძროხას, ძალ-ღონეს არ იშურებენ ზამთარშიც მაღალი წველადობის შესანარჩუნებლად...

ნომერში საუბარია მებოსტნეთა, მეაბრეშუმეთა მდიდარ ტრადიციებზე. 1,5 ჰექტარზე ნათეს-ნარგავ ბოსტანს უნარიანად უვლიდა ალექსანდრე ქარჩავას ოჯახი. მათ გასულ სეზონში მოიყვანეს 26,1 ტონა ბოსტნეული, მათ შორის კომბოსტო, კიტრი, პომიდორი თუ სხვა.

შრომის საუკეთესო მაგალითი უჩვენეს მეაბრეშუმეებმა ნელი ლაგვილავამ, ეთერ კვარაცხელიამ, ლამარა ყალიჩავამ. ინგირელებმა 8,9 ცენტნერის ნაცვლად აწარმოეს 9,4 ცენტნერი აბრეშუმის პარკი.

წერილში „სოფლის სამსახურში"— გკითხულობთ:— სოფლის კეთილმოწყობის სამუშაოების შესრულების მხრივ განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო გასული წელი. ამ წელს ამოქმედდა 700 ნომრიანი ავტომატური ტელეფონის სადგური და პირდაპირ დაუკავშირდნენ ქალაქს. გამოიცვალა ხის ელექტრობოძები, გაყვანილ იქნა ახალი ხაზები. ყურადღება დაეთმო სოფლის გზების კეთილმოწყობას. მოხრეშილ იქნა შიდა გზები, 3 კილომეტრზე დაიგო ასფალტი.

მიმდინარე წელს დაიწყება სოფლის გაზიფიკაციის სამუშაოები.

რუბრიკაში: „რეპლიკა", მოთხრობილია იმ ფაქტზე, რომ ინგირელი მშრომელები მოკლებული არიან რადიომომსახურებას.

გაზეთში ადგილი დათმობილი აქვს საახალწლო სურვილებსა და მილოცვებს, დაბეჭდილია ა. ფირცხალავას, მ. გულუას, ზ. ალმასიას ლექსები.

გახსენება

# მე თქვენზე ფიქრი მალონებს, მტანჯავს...

ნათქვამია, ყოველი პიროვნების მიერ განვლილი წლების ღირებულებას დრო აზუსტებსო. ამ მანძილის სახელოვნად გავლა კი ძლიერი ნებისყოფის ადამიანებს ძალუძთ. ისინი თავისი სიბეჯითითა და გულმოდგინებით თვითონ იკაფავენ გზას წარმატებებისკენ.

ერთ-ერთი იმათთაგანი, ვინც არასდროს ყოფილა იღბლის იმედად და საკუთარი ბეჯითი და მარჯვენით უცდია პირადი ბედის გამოჭედვა, დაუვიწყარი ხევერიან ებრალიძე იყო. მისი ბიოგრაფია ხუთწლედებად სახელდებულ დროის მონაკვეთებს განეკუთვნება. ამ ეპოქის შეფასების კრიტერიუმი, მართალია, დღეს მკაცრად გადაისინჯა. მისი ცალსახა აღქმა ახლა მართლაც მკრეხელობაა. მაგრამ იმ თაობის ღვაწლის იგნორირება, რომელმაც უმძიმეს პირობებში თავის მხრებზე აიღო ახალი ქვეყნის შენების ტვირთი, უსამართლობა იქნება. იყვნენ ადამიანები, რომელთაც უყვარდათ მინდობილი საქმის კეთილსინდისიერად კეთება, უყვარდათ ოჯახი და თანამოძმენი. ასეთთაგანთა მადლი ეცხო ბატონ ხევერიანსაც.

ჭიხაშკარელმა ჭაბუკმა ადრეული წლებიდანვე შეიწოვა ის ყოველივე ჯანსაღი და ადამიანური, რაც საუკუნეთა განმავლობაში დაუკრისტალებია მშრომელ გლეხკაცობაში ბუნებას: მიწის ყადრი და სიყვარული, თანდაყოლილი გუმანი და გამჭრიახობა.

ვიგონებ რა ამ ამაგდარ ადამიანს, ვცდილობ აღვიდგინო ცალკეული შტრიხები, ნიუანსები, მისი პიროვნული ხასიათისა, ცხოვრების წესისა, დამოკიდებულებისა. მასში ჰარმონიულად იყო ერთმანეთთან შერწყმული პრინციპულობა და სულგრძელობა, მომთხოვნელობა და თანდაყოლილი ინტელიგენტური უბრალოება. მის ხელებს, რომ იტყვიან, მოფერებაც შეეძლო და მრისხანე მუშტად შეკვრაც. ახალგაზრდებთან გულისხმიერი დამოკიდებულების ალღო მას საოცარ ხიბლს მატებდა. ინგირის მეურნეობის მექანიზატორთა მთელი პლეადა მისი ხელდასხმული გახლავთ და ისინი ამ ფაქტს დღეს ხაზგასმული მადლიერებით აღნიშნავენ.

ცალკე საუბრის თემაა ხევერიან ებრალიძე—როგორც მოქალაქე, ინტელიგენტი. ვის შეეძლო მისებური გზნებით გამოსვლა სხვადასხვა დონის საკრებულოებში. მახსოვს იგი საოცრად ბედნიერი და გაბრწყინებული, როგორი ეშხით უძღვებოდა ჩვენი გაზეთის დაარსების 50 წლისთავის აღსანიშნავ საღამოს. მოკრძალებით ახსენა მშვენიერი სადიდებელი სიტყვა ქართული პრესისა და მწერლობის ღირსეულ წარმომადგენლებს, პირვანდელი სხივით, სინატიფითა და ეშხით ჩაატარა მთელი საღამო.

ყოველთვის სიამოვნების მომგვრელი იყო მასთან საუბარი. მაგონდება, ერთხელ გლეხკაცის სიბრძნესა და ცხოვრებისეულ ფილოსოფიაზე ჩამოვარდა ლაპარაკი. ჩემის აზრით, გლეხი მუშაზე უფრო ჭკვიანი და დაკვირვებულია, —მარწმუნებდა და ეს იმიტომ, რომ ცხოვრებასთან, ბუნებასთან უფრო ახლოა. დაკვირვებისა და განსჯისათვის მეტი დრო რჩება. ბოლშევიკებმა ნამეტანი გადააჭარბეს პროლეტარის შეფასებაში, იდეოლოგიური ნორმის რანგში აიყვანეს მისი პოლიტიკური შეგნება და მსოფლმხედველობა. მათ მეტი უნდა მოესმინათ გლეხისათვის, თავისუფლებაც უნდა მიეცათ და უდაოდ მოიგებდნენ.

მაგონდება ეს საუბარი და გული კმაყოფილებით მევსება. მართლაც, ჭკვიანურ ნათქვამს დიდი დღე უწერია. იგი არ ემორჩილება ჟამთა სვლას და ყოველ ჟამს შეახსენებს მოკვდავთ ყოფიერების საზრისს.

კიდევ გავა მრავალი წელი, მაგრამ დრო ვერ დაბინდავს ამ კოლორიტული პიროვნების სხივფენილ შთაგონებას, მჩქეფარე ტემპერამენტს, დახვეწილ კულტურას.

ჯ. თულია.

# „ჩვენ ძლიერი, განახლებული სოფელი გვჭირდება"

ამ სათაურით დაიბეჭდა ჩვენი გაზეთის გასული წლის 29 დეკემბრის ნომერში რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებისა და საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა სოფლის მეურნეობის კომისიის მიერ ერთობლივი ხელმოწერით მომზადებული პუბლიკაცია.

წერილის დასაწყისში ნათქვამია: „დღევანდელ საქართველოს, მის ხვალინდელ დღეს განახლებულ პარლამენტს ძლიერი სოფელი, შეძლებული გლეხობა და ბეჯითი შრომა სჭირდება. არცერთ ეპოქაში, არცერთ ერს შრომისა და გარჯის გარეშე სიუხვე არ შეუქმნია. ვფიქრობ ამის შეგონება და ჭკუის დარიგება არავის არ სჭირდება".

დიახ ჩვენც შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ ვინმეს ჭკუა გასწავლოთ. გლეხმა უკეთ იცის, როდის მოხნას და დათესოს, რა დოზით შეიტანოს სრულ მოსავლიან თუ ახალგაზრდა ჩაის პლანტაციებში მინერალური სასუქები, წველადობის ამაღლების საქმეს კომბინირებული საკვები უფრო წაადგება თუ უხეში და წვნიანი საკვები, მრავალწლიანი ნარგავების გასაშენებლად შემოდგომის მიწურული უფრო ეფექტიანი დრო, თუ ადრეული გაზაფხული, ანუ რომ ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს, მეპურემ პური უნდა გამოაცხოს და ა. შ.

მიმდინარე პოლიტიკურმა ვითარებამ, აწ გაუქმებულ ეგრეთწოდებულ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში შექმნილმა დაძაბულმა მდგომარეობამ არ უნდა ჩამოგვაშოროს სადღეისო საჭირბოროტო ეკონომიკურ პრობლემებს.

არ არის დასამალი, რომ დღეს ძალზე რთული მდგომარეობაა რაიონის აგროსამრეწველო კომპლექსში. შეუწყნარებელი ტემპით მიმდინარეობს რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში სასოფლო სამეურნეო სამუშაოები: სასიმინდე ფართობების ხვნა, ჩაის პლანტაციების გადაბარვა, მინერალური სასუქების შეტანა, სადრენაჟო ქსელის ამოწმენდა, ტექნიკის რემონტი და სხვა. შარშანდელთან შედარებით საგრძნობლად იკლო წველადობის დონემ. არადა ამ მეტად რთულ დაძაბულ დროს განახლებულ საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკთა მეტი თანადგომა და მხარდაჭერა სჭირდება, მაგრამ ეს თანადგომა მარტო სიტყვით კი არა პრაქტიკული საქმეებით გამოვხატოთ, აქედანვე ჩავუყაროთ საფუძველი მიმდინარე წლის უხვ მოსავალს.

ვიდრე დაიწყებოდეს მუნიციპალური არჩევნები და მმართველობის ახალ ფორმებზე გადავიდოდეთ, სასოფლო სამეურნეო სამუშაოთა აგროვადებში ჩატარების უზრუნველყოფის საქმეში დიდია რაიონული საბჭოს აღმასკომის, აგროსამრეწველო კომპლექსის, საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა სოფლის მეურნეობის კომისიისა და სასოფლო საბჭოების როლი. ისინი მოვალენი არიან სათავეში ჩაუდგნენ სასოფლო სამუშაოთა მიმდინარეობას, უზრუნველყონ საზოგადოებრივი მეურნეობების განკარგულებაში არსებული ტექნიკის შეუფერხებელი მუშაობა.

# სამაჩაბლო, ჩვენი ტკივილი...

უბედურებამ კარზე მოგვიკაკუნა. იღუპებიან ჩვენი ბიჭები... ერთმა კაცმა თქვა, ასი ათასი დაღუპული მხოლოდ ციფრია, ერთი პიროვნების დაღუპვა კი ტრაგედიაა. გულსატკენია, მაგრამ ომი იმის ომია, რომ სისხლი იღვრება. ოღონდ, ჩვენთან ხომ ომი არაა. ვის ვებრძვით? ვინ გვებრძვის!.. პოლიტიკური კრიზისია მოხაგვარებელი და აქ სისხლი არ უნდა იღვრებოდეს. მე ყველა პატარა ერის მხარეს ვარ, მაგრამ მიკვირს მცირე ერის იმ ლიდერებისა, რომლებიც თავის ხალხს ბრმად მიაქანებენ უფსკრულისაკენ. რატომ არ ფიქრობენ, რომ ხვალაც, ზეგაც ჩვენს გვერდით უნდა იცხოვრონ, წუთუ ვინმე ფიქრობს, რომ ქართველოს დაამარცხებს, წამოაჩოქებს და თვით აპარპაშებს. ყოველი წვეთი დაღვრილი სისხლისა მომავლის გზას უკეტავს სწორედ იმ ერს, რომლის შვილები ასე დაუფიქრებლად აჭერენ ავტომატის სასხლეტს ხელს...

ედუარდ ქირია დაიღუპა... აქ სხვებიც დაკარგა საქართველომ, კარგი ვაჟკაცები, ეროვნულ ღირსებას სიცოცხლეზე მაღლა რომ აყენებდნენ, მაგრამ იმ ლამაზი ვაჟკაცებიდან ედუარდ ქირიას ახლოს ვიცნობდი... ყველა სახელი მტკივა, მაგრამ ახლობელი კაცის დაღუპვა უფრო. მრავალი წლის წინ გავიცანი, თავისი მოვალეობა განორჩეულად უყვარდა. მისი სახელი ქვეყანამ იცოდა, ახალგაცნობილები მეკითხებოდნენ, გაქეში გამომძიებლად რომ მუშაობს ის ქირია რა არის შენი. ასეთი სახელი ჰქონდა, მეამაყებოდა მასთან ახლობლობა.

ძველით ახალ წელს დამირეკა, მომესაყვარულა, მერიე დღისთვის თავისთან დამპატიჟა, ვერ შევუსრულე დანაპირები, ვერ მოვიცალე. ხალხის ხელახლა შემეხმიანა ტელეფონით, მთელი დღე ვნორიგეობდი და შინ ახლახან შემოვირბინეო. შვიდ საათზე სამაჩაბლოს მივდივარო. მეუღლე ტირის. საქართველოს მტერი ვერას დააკლებს, რევოლვერში თექვსმეტი ტყვია მაქვსო. ამას ხუმრობის ყაიდაზე ამბობდა. მერე სერიოზულად დასძინა: თუ რამე მოხდა, საქართველოს მომავალს ერთი ქირია შეეწირება კიდეცო... შემეშინდა ენამ არ უყივლოს მეთქი. ორი დღის შემდეგ კი რადიოში გავიგე ტრაგიკული დაღუპვის ამბავი. ლიახვზე, დანაღმულ ხიდზე ააფეთქეს მათი მანქანა. მდინარეში იპოვეს მისი გვამი, თურმე ხელში მომართული რევოლვერი ეჭირა.

საქართველოს დაეღუპა კიდევ ერთი შვილი, სხვა შვილებში გამორჩეული, ღირსებებით აღსავსე ვაჟკაცი. იგი სამშობლოს მომავალს შეეწირა და არც სამშობლო დაივიწყებს მისთვის თავდადებულ გმირს... ეროვნულ გმირთა პანთეონში შეაბიჯებს ჩვენი თანამემამულე, ჩვენი კუთხის შვილი ედუარდ (ანგული) ქირია.

ჯემალ ქირია.

წერილი რედაქციას

როგორც ცნობილია, ძირძველ ქართულ მიწაზე სამაჩაბლოში რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოების წარმომადგენლებთან ერთად საზოგადოებრივ წესრიგს იცავენ ზუგდიდის საქალაქო-რაიონული განყოფილების თანამშრომლებიც. ძნელბედობის ასეთ ჟამს ჩვენი ქალაქისა და რაიონის საწარმო-დაწესებულებათა შრომითმა კოლექტივებმა, ცალკეულმა მოქალაქეებმა თანადგომა გამოუცხადეს და სურსათ-სანოვაგით დახმარება გაუწიეს სამაჩაბლოში მივლინებულ შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკებს.

შინაგან საქმეთა ზუგდიდის საქალაქო-რაიონული განყოფილების პირადი შემადგენლობა გულითადი თანადგომისათვის მადლობას უცხადებს ქალბატონ დოდო დადეანს, ბატონებს ჭონი ფიფიას, ელიოშა ტაბაღუას, კოოპერატივ „ოქვილის" თავმჯდომარეს თ. ლატარიას ერგეტის მეურნეობის მთავარ აგრონომ ნ. გაბისონიას, რაიხაავადმყოფოს სამედიცინო პერსონალს (მთავარი ექიმი ჯ. ახაშილავა), „ცეკავშირის" ზუგდიდის საწარმოთაშორისო ბაზის (დირექტორი თ. ანთია), ხეტყეთ მეურნეობის მუშათა მომარაგების (უფროსი მ. ჯოლოგუა), ენგურჰიდროელექტრომშენებლობის მუშათა მომარაგების (უფროსი ნ. ხოსელია), ფაიფურის ქარხნების საგარეო ორგანიზაციის (უფროსი ბ. ბეჟუაია), გაზის ტრესტისა და სხვა კოლექტივებს.

ქართული მილიცია ქართველ ერთანაა!

თ. ქირია,
შინაგან საქმეთა ზუგდიდის საქალაქო-რაიონული განყოფილების უფროსი, მილიციის კაპიტანი.

# მადლობა თანადგომისათვის

---

მეუღლე ციალა. შვილები: ეკა, ემა. ნიკო. შვილიშვილი ცირა. დები: გული. ნელი სურმავები, ძმა ჯემალი. ბიძა ტარასი სურმავა. სიდედრი ვერიჩკა ბოკუჩავა. ბიცოლები: ლიდა სურმავა, მარო ცინცაძე, სიძეები: ვახტანგ შეროზია. იგორ კვარაცხელია, რევაზ ბულია. თორნიკე ლოგუა. ანზორ ერისთავი. დისშვილები: თამუნა გაბისონია, მაია. ვახტანგ ერისთავები, ძმისშვილები: დოდო, ემზარი, ნუგზარი, რძლები: ტატიანა. ლალი. მზახალი ნელი, ლუკიანე შეროზიები, ცოლისძმები: გურჯანი, ნუგზარ ქედიები, ცოლისდები: ლამარა. ეთერ. ქვისლები დათიკო ფიფია, შოთა ბელქანია. ბიძაშვილები: რამინ, მირანდა, ასმათ, ლელა, თამაზ, ვახტანგ, ნოდარ, ნათელა, გოგუცა, აველინა. მოკონა. კაკო, გივი სურმავები. ახლო ნათესავები იუწყებიან

**სერგო ხარიტონის ძე სურმავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 24, 25. 26 იანვარს. დაკრძალვა 27 იანვარს ახალკახათში.

---

შვილები: ნათელა, კარლო. ალიკო, ზაური. ნუგზარი. გურამი, ნაირა. ლილი ნარსიები, რძლები ლამარა. ჟუჟუნა. ლიანა, ნანი, მზია, სიძე კუკური სიჭინავა, მული თამარა ჯიქია. ძმისშვილი გული ტყებუჩავა, დისშვილები: ძაბული, ტუტუ კანკავები. გივი ხოფერია, შვილიშვილები. შვილთაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**ლუბა გრიგორის ასულ ტყებუჩავა-ნარსიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 24, 25 იანვარს. დაკრძალვა 26 იანვარს ს. ჭაქვინჯში.

---

კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის ადმინისტრაცია და მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან თანამშრომლის

**ტატიანა კოხია-დანელიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ცოლისძმა ხუშუტი, რძალი ეთერი კილავა, ცოლისდები: დარეჯანი. მარუსია, ვენერა, ცოლისძმისშვილები: მერაბი. ზურაბი, მარინა. მამუკა ცხადაიები, ქვისლები მიშა გოგილავა, ორლიან კუტალია ოჯახებით იუწყებიან სიძის

**დავით აბრამის ძე ბუკიას**

გარდაცვალებას.

---

მეუღლე ნორა ფირცხელავა, შვილი ჯუმბერი. შვილიშვილები: ნანა. მედეა. თეა. ძმები ტარასი. შალიკო. დები: ბასიკო, სოფო, მაფაიროზი. ეფროსი, ნუცა, ცოლისძმა კოლია ფირცხელავა, რძლები: ბროლისა ქობალია, ფედოსი ავალიანი, ვალიკო ნარსავიძე, ძმისშვილები: ზელიმი. ნუგზარი, ნოდარი, შერმადინი, შალვა. ლეილა. გული. ლეტრო. მანანა. მერი. მუხრანი, დალი გუგუსიანები. დისშვილები: მედიმერი, ამირანი, ციბა. ლიანა. დომნიკა გერლიანები, არლონდი, ასია, მაყვალა, კლარა არღვლიანები. შაქრო. შალვა. შადური. მზია. ზაირა. შერმადი. თინიკო მილდიანები., მალხაზი მურთაზი. თამაზი. მედიკო. მანანა სტეფლიანები. დეიდაშვილები, მამიდაშვილები. ბიძაშვილები ოჯახებით იუწყებიან

**კაკო ბექმურზას ძე გუგუსიანის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 24, 25 იანვარს. დაკრძალვა 26 იანვარს. გამოსვენება 17 საათზე, ქ ზუგდიდი, ცაიშვილის ქ. 4.

---

შვილები: თინიკო, რაიჩქა, ნოდარი, გივი. რევაზი ბულიები. დები თამარა. ნუცა, ნათელა, ძმები: აპოლო გიგინეიშვილი, ვაჟიკო ვახანია, მულები: ანეტა. აგრა ბულიები. რძლები: ნელი. ლული, ეკა, მერი, ეთერი სიძეები ილიკო ჩანგელია, კაკო კერზაია, ჯუმბერ ხუფენია, შვილიშვილები, დისშვილები, ძმისშვილები, მულიშვილები, ბიძაშვილები ოჯახებით იუწყებიან

**ლენჩქა ნესტორის ასულ გიგინეიშვილი-ბულიას**

გარდაცვალებას პანაშვიდი 24. 25 იანვარს. დაკრძალვა 26 იანვარს სოფელ ერგეტაში.

---

სოფელ ოქტომბრის სასოფლო საბჭოს აღმასკომი, ოქტომბრის კოლმეურნეობის გამგეობა და შრომითი კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ სამაჩაბლოში ტრაგიკულად დაიღუპა თანასოფლელი მილიციის კაპიტანი

**ედუარდ (ადგული) ბენიამინის ძე ქირია**

და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახის წევრებს.

---

ითაწყარის საშუალო სკოლის პედკოლექტივი და ტექპერსონალი იუწყებიან

**დავით აბრამის ძე ბუკიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე ნანი, შვილები: მერაბი, ნანული, მარინე, ირინე. ნანა. დები: არიადნა, ბაბუცა, თამარა, სიდედრი ვერა. სიძეები: ს. კაკულია, გ. ზიგზიბაძე, რ. კვირკველია, ქ. პერტაია, ე. ოფაქიძე. ნ. ჯონჯუა, ზ. შონია, ცოლისდები: ვარდო. თალიკო. ეთერი, ია, ცოლისძმები გია. გოგი წყაროზიები, შვილიშვილები, დისშვილები, მამიდაშვილები. ბიძაშვილები იუწყებიან

**მამია ილარიონის ძე ხამუშიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 24, 25 იანვარს. დაკრძალვა 26 იანვარს. გამოსვენება ტურგენევის ქ. 9-დან.

---

შვილები: ხუთა. ლენტუშა. ლუტუშა, დები: ვენია, მარიამი, სიძეები ჯემალ შანავა, პაპუ წურწუმია. ბოჩო გუგუჩია, ვალიკო ღურწკაია. კუკურ ჭითანავა, შვილიშვილები: მერაბი, ჯიმშერი ტაბალუები, ნინო. გოჩა. გელა შანავები. ლალი. ლადო წურწუმიები. რძლები: ჟუნა თოლორდავა, მაია ფაჯავა, ლუიზა მილდიანი. მაზლიშვილები: ნაზო. რეზო. ჩოქორი შედანიები, ბიძინა კაკულია. ბიძაშვილები, მამიდაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**ხონია პავლეს ასულ ყოლბაია-შედანიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 24, 25 იანვარს. დაკრძალვა 26 იანვარს სოფელ კახათში.

---

ძმა ვალოდია გულორდავა, რძლები: გული როგავა, თამრიკო გელაზარიშვილი, ძმისშვილები: გია. ნინა, სიძე მალხაზ კვარაცხელია, ძმისშვილიშვილები: გოგა. ლადო. ლევანი, მანანა იუწყებიან

**ვაჟა დიანოზის ძე გულორდავას**

გარდაცვალებას.

---

ახალკახათის სასოფლო საბჭოს აღმასკომი და კოლმეურნეობის გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყებიან ახალკახათის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის

**სერგო ხარიტონის ძე სურმავას**

გარდაცვალებას.

---

ოქტომბრის №1 საბავშვო ბაღის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ცუცა ქირიას ძმის ადგული ბენიამინის ძე ქირიას ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

---

# ს. ხ. სურმავა

გარდაიცვალა ახალკახათის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე სერგო ხარიტონის ძე სურმავა.

ს. სურმავა დაიბადა 1931 წელს. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ამთავრებს თბილისის სავაჭრო ტექნიკუმს და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს. შრომით საქმიანობაში ჩაება 1959 წლიდან. მუშაობდა ინგირის ჩაის მეურნეობაში ბრიგადირად, ანაკლიის საბჭოთა მეურნეობაში და შემდგომ ახალკახათის კოლმეურნეობაში პარტიული ორგანიზაციის მდივნად. 1971 წლიდან დღემდე შეუცვლელად იდგა სათავეში სოფლის აღმასკომს. საქმით გამორჩეულს, ალალმართალ და ყველასათვის ახლობელ პიროვნებას არაერთგზის ირჩევენ რაიონულ და სასოფლო საბჭოების დეპუტატად. მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები.

მშობლიური სოფელი განიცდის შესანიშნავი ადამიანის, ინტელიგენტის, ოჯახის ღირსეული მეუღლისა და მამის უდროოდ დაკარგვას.

განსვენებულს ბევრი ჩანაფიქრი დარჩა განუხორციელებელი. იგი ჩვენგან წავიდა იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ ბევრი რამის გაკეთება შეეძლო მშობლიური სოფლის საკეთილდღეოდ.

ს. სურმავას ნათელი ხსოვნა მარად იცოცხლებს თანასოფლელების, ამხანაგების, მეგობრების და კოლეგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

---

დედა ნონა, მამა ნუგზარი. ძმა ვეფხვია, ბებიები: ეთერი, შურა. ბიძები: რობერტი, ბადრი მალანიები, მამიდები: იზოლდა, მაყვალა ოჯახებითა და ახლო ნათესავებით იუწყებიან

**ლევან ნუგზარის ძე კაკულიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 24. 25, 26 იანვარს. დაკრძალვა 27 იანვარს 5 საათზე ს. კახათში.

---

აგრაფინა პაჭკორია შვილებით ქოზეფინა. აზა, სიძე მუსო მორგოშია, შვილიშვილი ლამათი იუწყებ სიძის

**ადგული ბენიას ძე ქირიას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 26 იანვარს თბილისში, გამოსვენება თირხულის 3.

---

მამიდა კლარა, ბიძია ლევთერი, ბიძაშვილები: არსენა. დარიკო შენგელიები იუწყებიან

**ზურაბ ელიოშას ძე ფონიავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 24. 25 იანვარს. დაკრძალვა 26 იანვარს ნაკიფუში (წალენჯიხის რაიონი).

---

რაისანეპიდსადგურის თანამშრომლები იუწყებიან

**ლიზა ძიას ასულ ქიქია-ჯაბუას**

გარდაცვალებას.

---

მეუღლე გრიშა. შვილები ნათელა, ზაირა. მზევარი. გულადი. ძმა პართე ღვინჯილია, რძლები: ოლგა კვირკვია, გოგო შენგელია. იზო ჭითანავა, ლალი ქორქია, ძმისშვილები: გურამი, ზაური, ვოვა, გულადი, ვალტერი. თინა. როზა ღვინჯილიები, მული მაში, სიძეები: ნოდარ ხვედელიძე, გიგლა მიქავა, მალაქია ხარჩილავა. ვალიკო ფონია. შვილიშვილები: მალხაზი, მარეხი. ნინო. იმედა. გელა. გია. მიხო. ტარზანი. ტარიელი, ირაკლი. კოხტა. ეკა. გოგა. დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**ალუშა კიმოთეს ასულ ღვინჯილია-თოდუას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 25, 26 იანვარს. დაკრძალვა 27 იანვარს სოფ. ინგირში. გამოსვენება მშვიდობის ქ. 2.

---

ზუგდიდის რაიონის სახალხო განათლების მუშაკები იუწყებიან

**დავით აბრამის ძე ბუკიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

რედაქტორის მოადგილე
ზ. ცხონდია.

ინდექსი 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი მერაბ კოსტავას ქ. № 52. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის 2-33-69 პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96 სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78 მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2-47-00

საქ. ბეჭდვსახკომის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 52, ტელეფონი 2 23 07. ტირაჟი 8000 შეკ. №240